ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № შ-54
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი, 2015 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი" (მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., №89/24, მე-6 სართული) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალუდა გოგლიჩიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „ტელკო სისტემსი" (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 29ა) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ქსელების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე.

2.2 შესყიდვის კონკრეტული ობიექტია 1 (ერთი) ცალი ქსელის მარშუტიზატორი (Tenda W1800R) შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით: ინტერფეისი: WAN: 1 x 10/100/1000 Mbps, LAN: 4 x 10/100/1000 Mbps, USB: 2 x USB 2.0; უსადენო ქსელის მონაცემთა გადაცემის სიჩქარე: 450 Mbps (2,4 GHz), 1300 Mbps (5 GHz); ანტენა: 3 x 5 dBi (გარე, მოხსნადი).

2.3 კლასიფიკატორის კოდი: 32400000, 32413100

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **257.45 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ის ჩათვლით.

3.3 დაფინანსების წყარო: თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრები.

3.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე და იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის და შესაბამისობაში იქნება მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 29ა

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

6.2 იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი/წუნდებული საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

6.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია მერაბ ზარნაძე, ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის" IT მენეჯერი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების, მათ შორის საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან") წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღემი. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.4 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

7.5 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.6 ანგარიშსწორების ადგილია ქალაქი თბილისი.

7.7 7.3 პუნქტის შესრულებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელი პირია მარიამ ბეგიაშვილი, ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის" ფინანსური მენეჯერი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ვალდებულებები

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

გ) განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხო (წუნდებული) მიწოდებული საქონლის მიღებაზე;

დ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

ბ) კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

გ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

9.2 კონტროლს განახორციელებს დემურ საღირაშვილი, ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის" შესყიდვების მენეჯერი.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

11.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

11.5 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკურლების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.2 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

ბ) მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

14.2 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17.3 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან, ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 17.4 პუნქტში მითითებული ტელეფონის ნომერი.

17.4 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 599 44 22 99; საკონტ. პირი: ირაკლი გულიაშვილი; ელექტრონული ფოსტა: sales@telco.ge

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: მობილური ტელეფონის ნომერი: 595 22 83 33; საკონტ. პირი: დემურ საღირაშვილი; ელექტრონული ფოსტა: demur.saghirashvili@gmail.com

17.5 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

17.6 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრი"

მის: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზ., №89/24, მე-6 სართული

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: TRESGE22

ა/ა GE24NB0330100200165022

ს/კოდი: 404852129

ა. გოგლიჩიძე

მიმწოდებელი:

შპს „ტელკო სისტემსი"

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 29ა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"

კოდი: UGEBGE22

ა/ა GE54VT6600001212123602

ს/კოდი: 205203279

ი. გულიაშვილი